

ბროშურა მომზადებულია ასოციაცია “გენეზისი”-ს მიერ
«NOVIB»-ის – «ნიდერლანდების ორგანიზაცია საერთაშორისო
განვითარების თანამშრომლობისათვის» დაფინანსებით

ბინაზე მოვლა



დამატებითი რჩევებისათვის მიმართეთ
კავშირთან “ადამიანი და ბუნება არსებულ სახლში მოვლის
სამსახურს შემდეგ მისამართზე:

თბილისი 0141, გურამიშვილის გამზ. 72
ტელ: 610189, 608469, ტელ/ფაქსი: 608825
ელ. ფოსტა: umn@access.sanet.ge
ინტერნეტი: www.manandnature.ge

და

კლინიკას - “გენეზისი”
შემდეგ მისამართზე:

თბილისი 0154, ზუგდიდის ქ.3
ტელ: 356357, 353097, ტელ/ფაქსი: 943148
ელ. ფოსტა: genesis@genesis.ge
ინტერნეტი: www.genesis.org.ge



მოვლა აუცილებელია იმ ადამიანების დასახმარებლად, რომლებიც სანდაზმულობის, ინგალიფობის თუ სხვადასხვა დაავადებების გამო სხვაზე დამოკიდებული ხდებიან გარკვეული დროის განმავლობაში ან მთელი ცხოვრების მანძილზე.

ამ ბუკლების საშუალებით გვიჩდა შემოგთავაზოთ რჩევები და მითითებები, რათა შეგიმსუბუქოთ მეტად რთული და საპასუხისმგებლო საქმე, როგორიც არის ავადმყოფის მოვლა სახლის პირობებში.

მნიშვნელოვანია კარგად იქნეს გააზრებული თუ რა გართულებები შეიძლება გამოიწვიოს მწოლიარე, მძიმე ავადმყოფის არასწორმა მოვლამ:

- ნაწოლების განვითარება
- ფილტვების ანთება
- სახსრებში მოძრაობის შეზღუდვა (კონტრაქტურა)
- თრომბოზი
- სოკოვანი დაავადებები
- შარდის ბუშტის ანთება (ცისტიტი)
- ყაბზობა (ანუ შეკრულობა)

როგორ უნდა მოვიქცეთ მათი თავიდან ასაცილებლად?

აუცილებელია სწორი მოვლა და პროფილაქტიკური დონისძიებების ჩატარება გართულებების თავიდან ასაცილებლად

რას ითვალისწინებს ავადმყოფის სწორად მოვლა?

- რეგულარულ პიგიენურ პროცედურებს
- ძილისა და სიფხიზლის რიტმის მოწესრიგებას
- მოსავლელი ადამიანის გააქტიურებას
- დახმარებას კვების დროს
- დახმარებას გამოყოფის (მოშარდვა, ნაწლავების მოქმედება) დროს
- სასიცოცხლო მაჩვენებლების (პულსი, წნევა, სხეულის ტემპერატურა) კონტროლს.

გარემო

პირველ რიგში, ავადმყოფს მისთვის სასურველი გარემო პირობები უნდა შევუქმნათ.

თოახი უნდა იყოს მყუდრო (ზედმეტი ხმაურისაგან დაცული), ნათელი, თბილი და ადვილად ნიავდებოდეს. აუცილებელია მუქი ფარდები ჭარბი სინათლის თავიდან ასაცილებლად.



სურ. 1

საწოლი სასურველია იდგას ფანჯრისგან მოშორებით. აუცილებელი ნივთები ავადმყოფის თვალთახედვის არეში და ხელმისაწვდომ მანძილზე იყოს მოთაქსებული. უნდა გავითვალისწინოთ ავადმყოფის ძველი ჩვევები. მაქსიმალურად შევუნარჩუნოთ ჩვეული და მყუდრო გარემო, შევუქმნათ ხელსაყრელი პირობები (სურ. 1).

ადამიანმა თავი მიტოვებულად არ უნდა იგრძნოს. უნდა ვიზრუნოთ პაციენტისთვის ძვირფასი ურთიერთობების შენარჩუნებაზე: ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან, ნათესავებთან, მოძღვართან და სხვა.


სურვილის მიხედვით უნდა შეეძლოს რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით ახალი ამბების გაგება, მუსიკის მოსმენა.

საწოლი უნდა იყოს ორივე მხრიდან ადვილად მისადგომი, რბილი და მოსახერხებელი ქვეშაბებით. იდეალურია საგადმყოფოს საწოლი, რომელიც შეიძლება დავაყენოთ სასურველ სიმაღლეზე, წამოვუწიოთ თავისა და ფეხების ნაწილი, გადავაადგილოთ ოთახში ბორბლებით, მასზე ადვილად შეიძლება დამხმარე საშუალებების მიმაგრება (მაგალითად, პატარა მაგიდის, ძელის და ა. შ.) (სურ. 2). იდეალურია, აგრეთვე, ნაწლავების თავიდან ასაცილებლად გამიზული სპეციალური ლეიბი მოუხერხებელია ტახტი და ორადგილიანი საწოლი.



სურ. 2

სასურველია საწოლი გარკვეული სიმაღლის იყოს, რათა თავიდან ავიცილოთ მომვლელის ხერხემლის არასწორი დატვირთვა და აქედან გამომდინარე ტრავმები. ხერხემლის მოხრილ მდგომარეობაში სიმძიმით დატვირთვა სახიფათოა! (სურ. 3).



თუ საწოლის სიმაღლის შეცვლა შეუძლებელია, მომვლელმა დატვირთვისას ხერხემლის სწორი პოზიცია უნდა შეინარჩუნოს (სურ. 4). სწორი მოქმედებისას მომვლელმა შეიძლება ნაკლები ფიზიკური დატვირთვით მოახერხოს მძიმე წონის ავადმყოფის მოვლა!



გარდა ამისა, შეიძლება წვეულებრივი საწოლი სასურველ დონეზე სხვადასხვა მარტივი საშუალებებით ავამაღლოთ (აგურები, წიგნები და სხვა).

საწოლს მიჯაჭვული ადამიანისათვის ძალიან მნიშვნელოვანია სწორი და მოხერხებული წოლა. არასწორი წოლა იწვევს შემდეგ გართულებებს: ნაწოლები, სახსრებში მოძრაობის შეზღუდვა, ტკივილი და ფილტვების ანთება.

მომღერალი ავადმყოფის პიროვნეული

ადამიანის დაბანის მიზანი მხოლოდ კანის გასუფთავება არ არის. დაბანა ხელს უწყობს ადამიანის ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესებას, გამოცოცხლებას, გახალისებას, დაძაბულების მოხსნას, ძილის მოგვრას. მნიშვნელოვანია ჰიგიენური პროცედურების სისტემატიზაცია და სწორად ჩატარება.

განვასხვაოთ დაბანის ორი ფორმა:

- დაბანი ავადმყოფისა, რომელსაც ამ პროცესში თვითონ შეუძლია აქტიურად მონაწილეობა. თუ მისი საერთო მდგომარეობა საშუალებას გვაძლევს, უნდა დავეხმაროთ გააქტიურებაში.
- აბსოლუტურად სხვაზე დამოკიდებული ავადმყოფის დაბანი.

მძიმე ავადმყოფებისთვის დაბანის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს ადამიანური თანაგრძნობის გამოხატვაცაა. ამ დროს ავადმყოფს განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეცვროთ.

მწოლიარე ავადმყოფი დაბანის წინ უნდა გავაფრთხილოთ და მივცეთ დრო თავისი თავის შემზადებისათვის. საჭიროა წინასწარ მოვამზადოთ შემდეგი მასალა:

1. 2 თასი თბილი წყლისათვის,
2. 2 ქისა,
3. 1 დიდი და 2 პატარა პირსახოცი,
4. დასაბანი და კანის მოსავლელი საშუალებები,
5. სუფთა საცვლები და თეთრეული.

დასაბანი წყალი ავადმყოფისათვის სასიამოვნო ტემპერატურის უნდა იყოს . ქისა კარგად უნდა გაიწუროს. ავადმყოფი უნდა იწვევს ზურგზე, ზედა ტანი ოდნავ წამოწეული, ტანზე უნდა ეფაროს, რომ არ გაცივდეს და საბის ქვეშ თავს დაცულად და მყედროდ გრძნობდეს. დაბანის დროს კი საჭიროების მიხევვით უნდა გაშიშვლდეს სხეულის სათანადო არეები (სურ. 5, 6, 7). დაბანა იწვება სახიდან, როგორც სხეულის ყელაზე ცნობიერი არიდან. სახის შემდეგ ვბანთ მკლავებს, იღლიას ვბანთ სხვა ქისით და კარგად ვამშრალებთ, შემდეგ გადავდივარო გულ-მკერდზე. მისი დაბანა ხდება, მხრიდან დაწყებული გულმკერდის გარშემო ნეკნების მიმართულებით. მუცელს ვბანთ წრიული მოძრაობით. შემდეგ ავადმყოფს ვაბრუნებთ გვერდზე და ვბანთ ზურგს ხერხემლის გასწვრივ წრიული მოძრაობებით.



ვამშრალებთ, ვაწვენთ ზურგზე და ვბანთ ფეხებს, ბოლოს – ინტიმურ ადგილებს, სხვა ქისისა და ჯამის გამოყენებით. დაბანის შემდეგ კანი კარგად უნდა გავამშრალოთ, რადგან კანის ნაოჭებში დარჩენილი სისველე მისი გაღიზიანებისა და დაზიანების მიზეზი შეიძლება გახდეს. ფრჩხილების მოსაწესრიგებლად საწოლის ბოლოს დავდგათ თასი თბილი წყლით, მოვახრევინოთ ფეხები და გავუკეთოთ აბაზანა საწოლში. პირის ღრუს, ფრჩხილებისა და თმის მოვლა ბანაობის ბოლო ეტაპია.

ხელების, ფეხებისა და სახის ცალ-ცალკე დაბანა დაუძლეურებულ პაციენტებში იწვევს მთლიანი დაბანის მსგავს თერაპიულ ეფექტს.

მოვლილი სხეული არის ავადმყოფისადმი უურადღების გამოხატულება, მოუვლელობა კი შესაბამისად მისადმი გულგრილობის ნიშანი.

ზეწრის გამოსაცვლელად ავადმყოფი უნდა დავაწვინოთ გვერდზე, შეძლებისდაგვარად საწოლის კიდესთან ახლოს (მაქსიმალურად დაცული გადმოვარდნისაგან). გამოსაცვლელი ზეწარი შეძლებისდაგვარად შევუცეროთ სხეულის ქვეშ და თან მივაყოლოთ წინასწარ საწოლის მთელ სიგრძეზე გასწორებული სუფთა ზეწარი (სურ. 8, 9). გადავაბრუნოთ მეორე მხარეს. სანამ გადავაბრუნებდეთ კარგად უნდა დავუთვალიეროთ ზურგი! გამოვაცალოთ ძველი ზეწარი და ახალი ნაკეცების გარეშე გავასწოროთ (სურ. 10).



სურ. 8



სურ. 9




სურ. 10

რაც შეეხება მწოლიარე ავადმყოფის **ტანსაცმელს**, სასურველია დამზადებული იყოს ბამბის ან სხვა ბუნებრივი ქსოვილისაგან, თავისუფალი, მსუბუქი, რათა არ გამოიწვიოს სხეულის ჩახურება. არ უნდა იყოს გადატვირთული დილებით ან სხვა შესაქრავებით, რომლებიც ზეწოლის შედეგად გამოიწვევს კანის დაზიანებასა და ნაწოლებს. ავადმყოფებს შეუკავებლობის პრობლემით უმჯობესია ეცვათ მოკლე მაისური, სიმშრალის უკეთ შესანარჩუნებლად. თუ ავადმყოფი პიგიენურ საფენებს ხმარობს (მაგალითად პამპერს), უნდა დავიცვათ სწორად ჩატმის ტექნიკა და საფენები რეგულარულად გამოვიცვალოთ:

საფენის გამოსაცვლელად ნაკლებად მობილური ავადმყოფი გვერდზე უნდა გადავაბრუნოთ, საფენის უფრო ფართე ნაწილი მოვარგოთ საჯდომს, მაქსიმალურად (ლეიიბზე ხელით დაწოლით) შევუცეროთ სხეულის ქვეშ და ავადმყოფი გადმოვაბრუნოთ ზურგზე, კარგად გავასწოროთ წინა მხარეც და დავაფიქსიროთ შესაკრავების საშუალებით (სურ. 11, 12).



სურ. 11



სურ. 12

ჟ ჟ ე ნ

სწორი კეჟბა აუცილებელია ნივთიერებათა ცვლის გაუმჯობესებისათვის. სასურველია გავითვალისწინოთ ადამიანის გემოვნება, სურვილები და მოთხოვნილებები.

საჭიროების შემთხვევაში, ექიმის მიერ დანიშნული დიეტა მკაცრად უნდა დავიცვათ. მნიშვნელოვანია მადაზე დაკვირვება. უმაღლებისას არ შეიძლება ავადმყოფს დაგაძლივოთ საკეცის დიდი რაოდენობით მიღება. მადის დაკარგის დროს უნდა შემოწმდეს პირის ღრუს მდგომარეობა – არ უნდა გამოგვრჩეს ენაზე და ლორწოვან გარსზე ნადები ან გამონაყარი.

თუ ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობა საშუალებას გვაძლევს, უმჯობესია მან საკვები დამჯდარ მდგომარეობაში მიიღოს — მაგიდასთან, თავისი ხელით ან დახმარებით.

მწოლიარე ავადმყოფს საკვების მიღებისას ტანი წამოწეული და ბალიშების დახმარებით დაფიქსირებული უნდა ჰქონდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, სასურველია, ავადმყოფი საკვებს ხედავდეს (სურ. 13).



სურ. 13

კვების პროცესში თვალი უნდა ვაღვენოთ დეჭვას და ყლაპვას. თუ ავადმყოფს ყლაპვა უჭირს, მას უნდა მივცეთ ფაფის კონსისტენციის საკვები, მცირე უდუფებით.

კვების ბოლოს დავათვალიეროთ პირის ღრუ და გავათავისუფლოთ საკვების ნარჩენებისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს ამ ნარჩენების სასულეში გადაცედენა. ამავე მიზეზის გამო კვებიდან 10 – 15 წუთის განმავლობაში ავადმყოფმა არ უნდა ჩაიძინოს.

აუცილებელია სითხის საკმარისი რაოდენობით (1,5-2 ლიტრი) მიღება, თუ პაციენტს სითხის რაოდენობა ექიმის მიერ არ აქვს შეზღუდული.

თუ პაციენტი პირით სუნთქვას და პირის ღრუს ლორწოვანი შრება, ადვილად ვითარდება ლორწოვანი გარსის ანთება (სტომატიტი), სოკოვანი დაგვადებები და სანერწყვე ჯირკვლის ანთება (პაროტიტი).

რა არის ამ დაავადებების განვითარების რისკ-ფაქტორები?

- მძიმე დაგვადებები
- დიდი ოპერაციების შემდგომი მდგომარეობა
- ანტიბიოტიკებით, ციტოსტატიკებით, კორტიკოიდებით მკურნალობა
- ზონდით კვება
- მაღალი ცხელება

დამახასიათებელი სიმპტომებია შეწითლება და თეთრი ნადები ენასა და ლოფის შიგნითა ზედაპირზე, რომელიც ადვილად არ სცილდება.

რა პროფილაკტიკური ფონდებით განვითარება უნდა ჩავატაროთ?

- მაქსიმალურად ვეცადოთ რომ თვითონ ავადმყოფი აქტიურად ჩავრთოთ კვების პროცესში
- თუ შეუძლია, რაიმე მაგარი საკვები მივცეთ საღუწად (მაგ. ხილის ჩირი)
- მივცეთ საჭირო რაოდენობის სითხე
- ყოველი კვების წინ უნდა მოხდეს პირის ღრუს ლორწოვანი გარსისათვის განკუთვნილი სითხის გამოვლება
- ყოველი ჭამის შემდეგ კბილებისა და მთელი პირის ღრუს ძირეულად დასუფთავება, საკვების ნარჩენებისაგან გასათავისუფლებლად, თითზე დახვეული დოლბანდით (სურ. 14).
- დღეში ერთხელ პირის ღრუს საფუძვლიანი დათვალიერება



სურ. 14

რითი შაიძლება დამაშავდეს პირის დრა?

- ლიმონიანი ხსნარით — ჯირკვლებიდან სეკრეტის გამოყოფის გასააქტიურებლად და გემოს გასაუმჯობესებლად (1 ჩაის კოვზი ლიმონის წვენი 1 ჭიქა წყალზე)
- სალბის ნაყენით — სადეზინფექციოდ და სისხლის მიმოქცევის გასააქტიურებლად (1 სუფრის კოვზ სალბის გამხმარ ფოთლებს დავასხათ 1 ჭიქა მდუღარე წყალი)
- გვირილის ნაყენით — ანთებითი კერების ჩასაქრობად (1 ჩაის კოვზის გამხმარ ყვავილებს დავასხათ 1 ჭიქა მდუღარე წყალი)

მნიშვნელოვანია ენაზე გაჩენილი ნადების მოცილება იგივე ნაყენების გამოყენებით

უმოძრაობამ და არასწორმა კვებამ შეიძლება გამოიწვიოს **ყაბზობა** (შეკრულობა). ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად ავადმყოფს უნდა მიეცეს:

- ბალასტით მდიდარი საკვები (მარცვლეული, უმი ბოსტნეული, ხილი), რომელიც აძლიერებს ნაწლავის პერისტალტიკას
- სითხით მდიდარი საკვები, დაახლოებით 1.5 ლიტრი სითხე 24 სთ-ში, ბოსტნეულით მდიდარი საკვები

საჭმლის მონებების ხელშესაწყობად აგრეთვე აუცილებელია მოძრაობის გააქტიურება, მუცლის შეზელვა დიდი კამის ზეთით.

თუ ეს დონისძიებები არ აღმოჩნდება საქმარისი პრობლემის მოსახსნელად, ექიმის დანიშნულებით უნდა მოხდეს სხვადასხვა ფორმის საფადარაოო საშუალებების (მათ შორის სანოლების) გამოყენება. აუცილებლობის შემთხვევაში კეთდება ოყნა დიდი სიფრთხილით.

ოყნის გაპეტების უპუშვენებებია:

- მუცლის ტკივილი და გაურკვეველი წარმოშობის პირდებინება
- სისხლდენები კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან
- ფეხმძიმობის პირველი თვეები ან ფეხმძიმობის ნაადრევად შეწყვეტის საშიშროება.

ძილი

ძილი არის ცნობიერების დროებითი გამოთიშვა და ის დრო, რომელსაც სხეული აღდგენისა და დასვენებისათვის საჭიროებს.

შველა ადამიანს, ცხოვრების სტილიდან გამომდინარე, აქვს ინდივიდუალური მოთხოვნილება ძილზე.

ასაკის მიხედვით ძილზე მოთხოვნილება დღე-დამის განმავლობაში განსაზღვრულია:

- ახალშობილები – 18 - 19 საათი
- ბავშვები – 12 - 14 საათი
- სქოლის ასაკის ბავშვები – 10 - 12 საათი
- მოზრდილები – 8 - 9 საათი
- ზრდასრული ადამიანები – 6 - 8 საათი
- ხანდაზმულები – 6 საათამდე

ძილის დარღვევა საფრთხეს უქმნის ჯანმრთელობას. ამიტომ მოვლის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ძილისა და დვიძილის სწორად წარმართვა. ძილის დარღვევის თავიდან აცილება რომ შევძლოთ, საჭიროა გავაცნობიეროთ ამის ნამდვილი მიზეზები.

ეს შეიძლება იყოს:

- ზოგადად ავადმყოფობა, სიცხვ, ჰაერის უქმარისობა, ტკივილები
- გარემო ფაქტორები: მოუხერხებელი საწოლი, უწვეულო მდგრმარეობა, არამყუდრო გარემო, ცუდი ჰაერი, მნელად მოსანელებელი საკვები, შუქი, ხმაური, ქვეშაგვების ნაკეცები და სხვა
- დღე-დამური რიტმის შეცვლა: როცა ადამიანები დამე ფხიზლობენ, ხოლო დღე სძინავთ
- გონებრივი გადაძაბვა
- ნერვული სისტემის სხვადასხა დაავადებები

აუცილებელია ძილისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა:

- ემოციური განტვირთვა (წიგნით, მუსიკით, მშვიდი საუბრით)
- ოთახის ხშირი განიავება, ორპირი ქარის თავიდან აცილება
- თბილი გარემოს შექმნა


- სადამოს ტუალეტი და თბილი პიგიენური პროცედურები
- ფეხების თბილი აბაზანა (დაძინების წინ ფეხები თბილი უნდა იყოს)
- სადამოს მსუბუქი კვება, დამამშვიდებელი ჩაის მიღება
- მოხერხებული წოლა

საჭიროების შემთხვევაში ავადმყოფს ექიმის დანიშნულებით უნდა მივცეთ მისთვის ინდივიდუალურად შერჩეული საძილე საშუალება.

დღვ-დამის რიტმის შეცვლა ხშირად გამოწვეულია დღის არასწორი დაგეგმვით. ლოგინს მიჯაჭვულ, მწოლიარე ავადმყოფს აუცილებელია პქონდეს დილის განცდა: დროულად წამოჯდომა, დილის ტუალეტი და საუზმე. თუ ეს არ ხდება რეგულარულად და დილაობით ავადმყოფი ძილს გვიანობამდე აგრძელებს, მას აუცილებლად ერღვევა ძილ-ლვიძილის რიტმი.

სწორად მოვლის ერთერთი აუცილებელი პირობაა **მოძრაობა**. ერთ პოზიციაში ხანგრძლივად ყოფნამ შეიძლება გამოიწვიოს მთელი რიგი გართულებები.

ხანგძლივი წოლის შემდეგ მობილიზაციის (წამოჯდომა, წამოდგომის) დაწყების წინ აუცილებელია ფეხებზე ელასტიური ბინტით ანგიორომბოზული ნახვევის გაკეთება ან კომპრესიული წინდის ჩატა



სურ. 15

მობილიზაციაში იგულისხმება პაციენტის გადადგილება საწოლში, გადმოსმა საწოლიდან სკამზე, სავარძელზე, ან ინვალიდის ეტლში და პირიქით. ასევე ავადმყოფის წამოყნება და დახმარება სიარულში ბინაში, თუ შესაძლებელია სუფთა პარტიკულარისტით."/>

მობილიზაციაში იგულისხმება პაციენტის გადადგილება საწოლში, გადმოსმა საწოლიდან სკამზე, სავარძელზე, ან ინვალიდის ეტლში და პირიქით. ასევე ავადმყოფის წამოყნება და დახმარება სიარულში ბინაში, თუ შესაძლებელია სუფთა პარტიკულარისტით.

გარჯიშები ავადმყოფებს ინდივიდუალური სქემით ენიშნება სპეციალისტის მიერ.

ნოლითი მდგომარეობების შეცვლა

წოლითი მდგომარეობების შეცვლა უნდა მოხდეს ავადმყოფის შეგრძნებების და მოთხოვნის გათვალისწინებით, მინიმუმ ყოველ 3 საათში. თუ საერთო მდგომარეობა მძიმეა, კანი შეწითლებულია ან უკვე წარმოქმნილია ნაწოლი, მაშინ წოლითი მდგომარეობები უნდა შეიცვალოს საათში ერთხელ.

- საჭიროა ყველა სახსრის სისტემატურად, ფრთხილად ამოძრავება, რათა თავიდან ავიცილოთ კონტრაქტურების ჩამოყალიბება (სახსრების ჩაკეტვა).

ნაცოლების პროცედურა და მოვლა

ნაწოლი არის სხეულის გარკვეულ ნაწილზე ზეწოლის შედეგად განვითარებული იშემია (სისხლით მომარაგების გაუარესება), რაც იწვევს ქსოვილის დაზიანებას და შემდგომში კვდომას.

რომელ ავადმყოფებს აქვთ ნაწოლების გაჩენის საშიშროება?

ზოგადად ყველა მწოლიარე და მძიმე ავადმყოფს, განსაკუთრებით კი მათ, ვისაც აღენიშნება:

- ზოგადი მდგომარეობის გაუარესება
- მოძრაობის უნარის დაქვეითება
- მგრძნობელობის დარღვევები
- ნივთიერებათა ცელის დარღვევა

- ცნობიერების დარღვევა
- შეუკავებლობა
- გულის, სისხლის მიმოქცევის და სისხლის დაავადებები

**ნაწოლების განვითარების თვალსაზრისით
სხეულის რომელ ნაწილებია ყველაზე
სახიფათო?**

- ყველა ის ადგილი, სადაც ქვლები კანთან ახლოსაა, ანუ სადაც კანქვეშა რბილი ქსოვილები ნაკლებად არის განვითარებული (სურ. 16).


როგორია ნაწოლის გაჩენის პირველი ნიშნები?

- კანის შეწითლება, რომელიც ზეწოლისაგან განთავისუფლების შემდეგ არ გადადის
- წყლულოვანი ბუშტუკების წარმოქმნა
- კანის აქერცვლა
- ზეწოლისას ტკიფილი
- კანის მოლურჯო – მოშავო შეფერილობა

როგორ ავიცილოთ თავიდან ნაწოლის წარმოქმნა?

აუცილებელია:

- კანის პიგიენა, მთელი სხეულის ჩამობანა ყოველდღე თბილი წყლით (იხილეთ მთლიანი დაბანა საწოლში)
- კანის დამუშავება ქაფურის სპირტითა და სპეციალური დამცავი საშუალებებით
- კანის სიმშრალის შენარჩუნება, განსაკუთრებით შეუკავებლობის დროს
- წოლითი მდგომარეობების შეცვლა ყოველ 3 საათში ერთხელ
- მოხერხებული წოლა რბილ ბალიშებზე ისე, რომ ის ადგილები, სადაც ნაწოლის გაჩენის საშიშროებაა, არ ეხებოდეს ქვეშაგებს
- სპეციალური ლეიბების გამოყენება
- ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესება, ვიტამინებით მდიდარი საკვებისა და საჭირო რაოდენობის სითხის მიწოდება



სურ. 16

ფილტვების ანთება, როგორც მწოლიარე მდგომარეობის გართულება, შეიძლება განუვითარდეს:


- სანგრძლივად მწოლიარე ავადმყოფებს, რადგან არ ხდება მათი ფილტვების ჯეროვანი განიავება (ვერტილაცია)
- მოხეც ადამიანებს, რადგანაც ისინი ვერ სუნთქვავენ საკმარისად ღრმად
- ავადმყოფებს ცნობიერების დარღვევით
- უძრავად მწოლიარე ავადმყოფებს

როგორ უნდა მოვუაროთ პაციენტს ამ დროს?

აუცილებელია მობილიზაცია. შესაძლებლობების ფარგლებში ყველანაირი ფორმა მობილიზაციისა, რომელიც სხეულის აქტიურობასა და სუნთქვის ინტენსივობას განაპირობებს.

თუ ადამიანს არ შეუძლია ადგომა, სუნთქვის გასააღვილებლად აუცილებელია წოლითი მდგომარეობების შეცვლა ბალიშების დახმარებით:


- წოლითი მდგომარეობა ზედა ტანის წამოწევით
- გეერდზე წოლითი მდგომარეობა
- ნახავარმთვარის სებური წოლითი მდგომარეობა (სურ. 17)
- A, V წოლითი მდგომარეობა (სურ. 18)
- T წოლითი მდგომარეობა (სურ. 19)



სურ. 18



სურ. 17



სურ. 19

სუნთქვის გამაპეტიურებელი გარჯიშები:


- ღრმად ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა
- ეწ. „კონტაქტური სუნთქვა“ (ზურგზე ვადებთ ორივე ხელის გულს და ამოსუნთქვის დროს მსუბუქად ვეხმარებით ტორსის ქვემოდან ზემოთ წამოწევაში)
- წინააღმდეგობის გადალახვა ამოსუნთქვით (ბუშტის გაბერვა, წყლიან ჭურჭელში მიღით ჩაბერვა, ფლეიტაზე ან სხვა ჩასაბერ ინსტრუმენტზე „დაკვრა“)
- ზურგის ყოველდღიური დამუშავება ქაფურის სპირტითა და ლაგანდის ზეთის შეზელვა

გარჯიშებმა არ უნდა გამოიწვიოს ავადმყოფის გადაღლა!

ოთახი კარგად უნდა ნიავდებოდეს, მაგრამ არ უნდა იყოს დაბალი ტემპერატურა და ორპირი (გამჭოლი) ქარი.

ყოველი ზემოთ მოყვანილი მოვლითი ღონისძიებების შესრულებისას მოვლელი ვალდექულია დიდი ყურადღებით დააკვირდეს უმნიშვნელოვანეს **სასიცოცხლო ფუნქციებს:** გულის მუშაობას, სისხლის მიმოქცევას, სუნთქვას, ტემპერატურას.

პულსზე სწორად დაკვირვებისათვის აუცილებელია იმ ადგილების ცოდნა, სადაც პულსი ყველაზე კარგად ისინჯება. ასეთებია: ხელი მტევნის სახსართან, ყელთან, საფეთქელთან (სურ. 20).



სურ. 20

პულსი ნორმალური მაჩვენებლებია: ახალშობილისათვის 130 – 140 დარტყმა წუთში, ბავშვებისათვის 80-120, მოზრდილი ადამიანებისათვის 55 – 90, ხანდაზმულებისათვის 60. პულსის ცვლილებაზე გავლენას ახდენს როგორც ფიზიკური ისე ემოციური დატვირთვა, სხვადასხვა დაავადებები.

გახშირებული პულსის მიზეზი შეიძლება იყოს: ფიზიკური აგზნება, შიში, სიცხის მომატება, გულის დაავადებები.

პულსი შეიძლება იყოს რიტმული და არა რიტმული. თუ დაკვირვების შედეგად რაიმე დარღვევა იჩნეს თავს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ექიმს.

სუნთქვის ნორმალური სიხშირე ზრდასრულ ადამიანებთან არის 14-20 სუნთქვითი მოძრაობა წუთში. ამის დათვლა შესაძლებელი მუცელზე ხელის დაღებით. მუცლის ერთხელ აწევა და დაწევა შეესაბამება ერთ სუნთქვით მოძრაობას. მწოლიარე ადამიანები ძირითადად მუცლით სუნთქავენ. სასურველია ისე დავთვალოთ სუნთქვის სიხშირე რომ ავადმყოფი ამას ვერ მიხვდეს, რადგან ამ ფაქტზე ცნობიერების გამახვილებისას შეიძლება სუნთქვის სიხშირე შეიცვალოს. სუნთქვის მეორე მნიშვნელოვანი მახასიათებელია სუნთქვის სიღრმე. ეს ორი მახასიათებელი, როგორც წესი, ერთმანეთზეა დამოკიდებული. მონაცემები აუცილებლად უნდა ჩავინიშნოთ, რათა დაკვირვების შედეგები ეცნობოს ექიმს.

სუნთქვის დარღვევა, გარდა მთელი რიგი დაავადებებისა, შეიძლება გამოწვეული იყოს სასუნთქ გზებში პირადების, ნერწყის, სისხლის თუ ლორწოს გადაცდენით, რაც შეიძლება სუნთქვის შეჩერების მიზეზიც გახდეს. ამ დროს აუცილებელია ექიმის ინფორმირება!

გარდა პულსზე და სუნთქვაზე დაკვირვებისა მომვლელმა უნდა შეძლოს ავადმყოფის მდგომარეობის ზოგადი ანალიზი. მგალითად: კარგად გრძნობს თუ არა თავს, ტემპოლები ხომ არ არის გამოწვეული ცედად წოლით. ყოველგვარი ცვლილება უნდა იქნეს სწორად და დროულად აღქმული: როგორ გამოიყერება ადამიანი, როგორ დადის და უჭირავს თავი, როგორია მისი **კანის ფერი** – გაწითლებულია თუ გაფითრებული.

- კანის სიწითლე შიძლება გამოიწვიოს აგზნებამ, მაღალმა სიცხემ, დამწერობამ, მაღალმა წნევამ, გამონაყარმა.
- გაფითრება კი – შეკრთომამ და შიშმა, შინაგანმა სისხლდენამ, ანემიამ, დაბალმა წნევამ, გულის დაავადებებმა
- სიყვითლე – ნაღვლის შეგუბებამ, ჰეპატიტმა, სისხლის დაავადებებმა. სიყვითლე პირველ რიგში თვალის სკლერებზე შეინიშნება.

- ყურის ბიბილოების, თითების წერტებისა და ტუჩების გალურჯება – ფილტვებისა და გულის დავადებებმა.

სხეულის ტემპერატურაზე დაკვირვებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ არსებობს ტემპერატურის გასინჯვის სამი გზა:

1. იღლიაში – აქსილარული – 10 წუთის განმავლობაში
2. პირში, ენის ქვეშ – ორალური (მხოლოდ პერსონალური თერმომეტრით არის მიზანშემონილი) – 8 წუთის განმავლობაში
ბავშვებთან და არაცნობიერ ავადმყოფთან არ შეიძლება!
3. სწორ ნაწლავში – რექტალური – ხანგრძლივობა 3 წუთი. ამ დროს თერმომეტრს უნდა წავუსვათ ვაზელინის მალამო ან სპეციალურ შალითაში ჩავსვათ.

ტემპერატურის მაჩვენებლები იღლიაში გასინჯვისას:

36°C – დან 37°C –მდე არის ნორმალური ტემპერატურა.

36°C – ზე დაბალი – არის დაბალი ტემპერატურა.

37°C – 38°C – მომატებული ტემპერატურა

38°C – ზე მაღლა – ცხელება

39°C – ზე მაღლა – მაღალი ცხელება

მიმე ავადმყოფებს და ავადმყოფებს ცნობიერების დარღვევებით, ტემპერატურის გაზომვის პროცესში არ უნდა მოვცილდეთ.

მიღებული მონაცემების გაანალიზებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ტემპერატურის გაზომვის ამ სამი გზიდან რომლით ვისარგებლეთ, რადგანაც ეს მონაცემები ერთმანეთისგან განსხვავებას იძლევა.

რექტალური გაზომვა /სწორი ნაწლავი/

2-4 წუთი 37,5°C

აქსილარული /იღლია/

8-10 წუთი 37,0°C

ორალური /პირის დრუ/

10 წუთი 37,3°C

მიუხედავად გაზომვის გზისა, მოხმარების შემდეგ თერმომეტრი უნდა გავასუფთავოთ!

აგრეთვე აუცილებელია **დაკვირვება გამონაყოფ მასებზე** და **შარდზე**, პირნაღებ მასებზე (თუკი დებინებას აქვს ადგილი) და **ნახევლზე**.

ამ დროს მნიშვნელოვანია მათი ფერი, როდენობა, სიხშირე, მინარევები (სისხლიანი, ჩირქიანი თუ სხვ), თხევადოვნება (კონსისტენცია), გამჭვირვალება. ამ მონაცემების სწორი ჩანიშვნა მნიშვნელოვან ინფორმაციას წარმოადგენს ექიმის შემდგომი მოქმედებისთვის.

არანაკლებ მნიშვნელოვანია **ექიმის დანიშნულების** დიდი სიზუსტით ჟესრულების კონტროლი! ეს პირველ რიგში ეხება ავადმყოფი ადამინისთვის მედიკამენტების დროულ და სწორი გზით მიწოდებას. მომვლელმა უნდა გაითვალისწინოს ყოველი მოხმარებული მედიკამენტის ანოტაციაში მითითებული უმნიშვნელოვანესი მომენტები მედიკამენტის სწორი შენახვის ჩათვლით.

გამონაკლისს წარმოადგენს ბუნებრივი საშუალებების ნაყენის სახით მიწოდება. ისინი ექიმის დანიშნულების გარეშეც შეიძლება მიეცეს ადამიანს მათი ცოდნის შემთხვევაში. აქაც მნიშვნელოვანია დამზადების წესის ზუსტი დაცვა და მათი შეთანხმება ოჯახის ექიმთან ან ფარმაცევტთან.